

# ტექნოლოგიების პოტენციური ეთიკური გავლენა პროფესიონალი ბუღალტრების ქცევაზე: კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება

## შესავალი

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს [IESBA-ს ტექნოლოგიურ მიმართულებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის \(შემდგომში „სამუშაო ჯგუფი“\) მეორე ეტაპის ანგარიშის](#) ნაწილს, სადაც აღწერილია ტექნოლოგიების პრობლემური და ტრანსფორმაციული ბუნების გავლენა პროფესიონალი ბუღალტრების საქმიანობაზე, ასევე მოცემულია ამ მოვლენის ეთიკური ასპექტების ვრცელი ანალიზი და მათი არსის გააზრება.

კერძოდ, ამ პუბლიკაციაში განხილულია ზოგიერთი ინოვაციური ტექნოლოგიის (როგორებიცაა, ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი, მონაცემთა დამუშავება „ღრუბელში“ (cloud computing)) გავლენით გამოწვეული შედეგებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების (როგორებიცაა, მონაცემთა მართვა, მათ შორის კიბერუსაფრთხოება) ეთიკური ასპექტები, რომლებიც ეხება გამჭვირვალობასა და კონფიდენციალურობაზე პროფესიონალი ბუღალტრების პასუხისმგებლობას და წარმოადგენს გვიქმნის ამ საკითხებისა და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი კითხვების შესახებ.

სამუშაო ჯგუფის წევრები არიან: ბრაიან ფრიდრიხი (IESBA-ს წევრი და სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე), ვანია ბორგერტი (IESBA-ს წევრი), დევიდ კლარკი (IESBA-ს ტექნიკური მრჩეველი), კრისტელ მარტინი (IESBA-ს წევრი), და სანდიპ ტაკვანი (IESBA-ს ყოფილი ტექნიკური მრჩეველი).

[მეორე ეტაპის](#) სრულ ანგარიშში ასევე განხილულია ეთიკის კოდექსის [\(ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის \(მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები\)\)](#) (კოდექსი) ძირითადი პრინციპებისა და კონკრეტული დებულებების გათვალისწინების აუცილებლობა და მნიშვნელობა პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ეთიკური საყრდენის შექმნის საკითხში, ვინაიდან სწრაფი გაციფრულების კვალდაკვალ ისინი სამუშაო პროცესში ახალი შესაძლებლობებისა და გამოწვევების წინაშე დგებიან.

წინამდებარე პუბლიკაცია არ ცვლის და არც უგულებელყოფს ეთიკის კოდექსს, რომლის ტექსტიც წარმოადგენს ერთადერთ ოფიციალურ დოკუმენტს და მისი გაცნობა ვერ ჩაანაცვლებს ეთიკის კოდექსის გაცნობის აუცილებლობას. გარდა ამისა, ეს პუბლიკაცია არ არის ამომწურავი და ყოვლისმომცველი, შესაბამისად ყოველთვის აუცილებელია ეთიკის კოდექსის საჭიროებისამებრ მითითება. ეს პუბლიკაცია არ არის ბესს-ის (IESBA) ოფიციალური სავალდებულო დოკუმენტი.

## ტექნოლოგიების პოტენციური გავლენა პროფესიონალი ბუღალტრების ქცევაზე

ანგარიშის შემდეგი ნაწილები ეძღვნება ტექნოლოგიების პოტენციურ ეთიკურ გავლენას პროფესიონალი ბუღალტრების ქცევაზე, კერძოდ, პროფესიონალი ბუღალტრების კომპეტენციასა და სათანადო გულისხმიერებაზე, ობიექტურობაზე, გამჭვირვალობასა და კონფიდენციალურობაზე, ასევე დამოუკიდებლობაზე. სამუშაო ჯგუფი აღიარებს, რომ ბევრი ტიპის გავლენა, რომელიც განსახილველად დააყენეს დაინტერესებული მხარეებმა ფაქტების დადგენის მე-2 ეტაპზე, კიდევ ერთხელ ადასტურებს და ამავე დროს ხაზს უსვამს 1-ელი ეტაპის შედეგებს და ამგვარად ასაბუთებს IESBA-ს [განსახილველი პროექტის „ტექნოლოგიები“ \(Technology ED\)](#) წინადადებებს. დაინტერესებული მხარეების მიერ განსახილველად დაყენებული სხვა ტიპის სავარაუდო ზემოქმედება და პრობლემა ან ახალი, ან 1-ელი ეტაპის ფაქტებისა და დასკვნების განვითარებას/გაგრძელებას წარმოადგენს. ეს დამატებითი სახის ზემოქმედება/შედეგები ან პრობლემები საფუძვლად უდევს სამუშაო ჯგუფის დასკვნებსა და რეკომენდაციებს (რაც დეტალურად აღწერილია [III განყოფილებაში: მოსაზრებები და რეკომენდაციები](#)), რომლებიც ეხება ისეთ სფეროებს, სადაც შესაძლებელია კოდექსის გაძლიერება/გაუმჯობესება, ასევე სხვა თემებს, რომლისთვისაც IESBA განიხილავს არასავალდებულო ხასიათის მითითებების მომზადებას.<sup>1</sup>

## კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება

### კომპეტენციის საჭიროება ციფრულ ეპოქაში

**1** დღევანდელი ბიზნესსამყარო დინამიური და კომპლექსურია<sup>2</sup>. იგი საკმაოდ ფართო არეალს მოიცავს, სადაც ბევრი ბუნდოვანება შეგვხვდება. ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი ისეთი რაოდენობის მონაცემების დამუშავება და გაგება, რაც ამჟამად არის ხელმისაწვდომი, ადამიანის გონების შესაძლებლობის ზღვარს ბევრად სცდება.<sup>3</sup> ცხადია, ტექნოლოგიური ინოვაციების, ისევე როგორც მათთან დაკავშირებული სტანდარტებისა და რეგულაციების, განვითარება და მნიშვნელოვანი ცვლილებები აქ არ დასრულდება. ამ ფონზე, სამუშაო ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა მუდმივად ხდებოდეს პროფესიონალი ბუღალტრების კომპეტენციის დონის ისე ადაპტირება, რომ იგი შესაბამებოდეს პროფესიის პასუხისმგებლობას იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით და სათანადოდ გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები. კომპეტენციის საკითხი, რა თქმა უნდა, მხოლოდ პროფესიონალ ბუღალტრებს არ შეეხება, არამედ იგი აქტუალურია ბიზნესისა და ფინანსების ეკოსისტემის ყველა მონაწილე მხარისთვის, მათ შორის, მარეგულირებლებისათვის.

**2** დაინტერესებულმა მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პროფესიონალი ბუღალტრებისთვის მარტივი არაა, არ ჩამორჩნენ განვითარებას, მაშინ, როდესაც მუდმივად იზრდება ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება იმ სირთულეებთან გამკლავებისა და ახლად გაჩენილი შესაძლებლობების სასარგებლოდ გამოყენების პროცესში, რომელსაც დიდი ოდენობით ხელმისაწვდომი მონაცემები და უახლესი ტექნოლოგიები წარმოშობს. აგრეთვე, რესურსებსა და დროში მნიშვნელოვანად შეზღუდვა მცირე და საშუალო აუდიტორულ ფირმებს (რომლებიც საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრების დიდ ნაწილს შეადგენს), განსაკუთრებით ინდივიდუალურ პრაქტიკოსებს, უფრო დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს და მათ კომპეტენციაში ხარვეზების რისკიც იზრდება. თუმცა, დიდი შანსია პროფესიონალი ბუღალტრები მაინც მოიხიბლონ იმ შესაძლებლობებითა და შედეგებით, რაც ტექნოლოგიებს მოაქვთ, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად შესაძლებელია ისინი ტექნოლოგიების მიმართულებით სათანადო კომპეტენციას ვერ ფლობდნენ.

**3** დაინტერესებულმა მხარეებმა ასევე აღნიშნეს, რომ ორგანიზაციები დისტანციურ სწავლებაში დროისა და რესურსების ინვესტირებას სულ უფრო მეტად ახდენენ. თუმცა, ასევე აღნიშნავენ, რომ უმცროსი პერსონალის (ე.ი. დამწყები პერსონალი ბუღალტრის პროფესიაში) პროფესიული განსჯის გამოყენების მიმართულებით გადამზადება უფრო რთული პროცესი ხდება, ვინაიდან ავტომატიზაციის ინსტრუმენტები და ხელოვნური ინტელექტი ახლა უფრო მეტ პროცესებსა და ამოცანებს ასრულებს, ვიდრე უმცროსი პერსონალი ადრე პრაქტიკული საკვალიფიკაციო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა ხოლმე. შესაძლებელია, პოტენციურად, ასეთმა პერსონალმა ვერ შეძლოს “საფუძვლების” გაგება და, შესაბამისად, ავტომატიზებული სისტემებისა და ინტელექტუალური აგენტების მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობისთვის სათანადოდ ვერ მოემზადონ. დაინტერესებული მხარეები ფიქრობენ, რომ ამ ტიპის გამოცდილების მიღებას და სრულყოფას შესაძლებელია ხელი შეუწყონ სიმულაციებმა, რომელიც ვირტუალური რეალობისა და სხვა იმერსიული პლატფორმების გამოყენებით შეიძლება შეიქმნას.



**4** ზემოთ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარეების აზრით, გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა უმცროსი პერსონალი შეცდომით ტექნოლოგიებში უფრო მეტად გათვითცნობიერებულად ჩაითვალოს, ვიდრე ეს სინამდვილეშია, შედეგად კი გარკვეული ტექნოლოგიების გამოყენებისას ფირმა ამგვარ პერსონალს ზედმეტად მიენდოს. მიუხედავად იმისა, რომ უმცროსი პერსონალი ისეთ გარემოში იზრდება, სადაც „ყველგან ტექნოლოგია“, მათ კონკრეტულად ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ და დანერგილ ძირითად ტრანსფორმაციულ ტექნოლოგიებთან (მაგ., მანქანური სწავლება, ბლოკჩეინი, მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტები) მუშაობის გამოცდილება ხშირად სულაც არ გააჩნიათ.

**5** დაინტერესებული მხარეების ხედვით, კონკრეტულად პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულად აღიარებული უნარები მინიმალურ მოთხოვნას წარმოადგენს, ხოლო ტექნოლოგიების მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული უნარების გაძლიერება პრიორიტეტად მიიჩნევა.<sup>4</sup> ასევე, პროფესიონალი ბუღალტრებისთვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ტექნოლოგიების შემუშავება, დანერგვა და გამოყენება მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის სამუშაოს არ წარმოადგენს, არამედ პროფესიონალ ბუღალტრებსაც სჭირდებათ ამ სფეროში საკმარისი კომპეტენცია. სწორედ ასე შეძლებენ ისინი გაზარდონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა და გადაწყვიტონ ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით პოტენციური პრობლემური საკითხები. მაგალითად, ფინანსური და მასთან დაკავშირებული სისტემების, ბიზნესპროცესების, პოლიტიკისა და კონტროლის საშუალებების მართვა პროფესიონალი ბუღალტრების (და არა საინფორმაციო ტექნოლოგიების (სტ) სპეციალისტის) სფეროს განეკუთვნება. თუმცა, პროფესიონალ ბუღალტრებს უახლესი და ტრანსფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, ისევე როგორც მონაცემთა ანალიზის მიმართულებით, საკმარისი კომპეტენცია და ცოდნა უნდა ჰქონდეთ, რათა მათ თავიანთი ტრადიციული უნარების ახალი კონტექსტისთვის მორგება შეძლონ. შესაბამისად, ორგანიზაციებისა და ფირმებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია აუცილებელი პროფესიული უნარების გამოყენებით სარგებლის და ღირებულების მიღება სტ და სხვა სპეციალისტებით შემდგარი მულტიდისციპლინარული გუნდების მართვით და სტ და ბუღალტრულ აღრიცხვას შორის ჯვარედინი ტრენინგებით.



**6** დაინტერესებული მხარეების ზოგადი მოსაზრების თანახმად, პროფესიონალი ბუღალტრებისთვის არ არის აუცილებელი იყვნენ ტექნოლოგიების „ექსპერტები“, თუმცა მანინგ საჭიროა ამ მიმართულებით ისინი საკმარის კომპეტენციას ფლობდნენ. აქ კი ბუნებრივად ისმის კითხვა - რა ითვლება „საკმარის“ კომპეტენციად და როგორ იცვლება ამ საკმარისობის დონე ორგანიზაციის შიგნით პროფესიონალი ბუღალტრის მიერ დაკავებული პოზიციისა და როლის მიხედვით? ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ბიზნესში დასაქმებული უმაღლესი რანგის პროფესიონალი ბუღალტრები არიან პასუხისმგებელი ფინანსური სისტემების სტ კონტროლის პროცედურების შესრულების უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, ამ ტიპის პროფესიონალი ბუღალტრები უნდა იცნობდნენ მიმდინარე პროცესებს და აცნობიერებდნენ არსებულ რისკებს, რათა იცოდნენ რა უნდა გაკეთდეს ამ რისკების შესამცირებლად. გარდა ამისა, ზოგიერთი დაინტერესებული მხარის მხრიდან დაისვა კითხვა, თუ რამდენად საჭიროა საჯარო პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის საკმარის პროფესიულ კომპეტენციასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო მითითებების მიცემა, რომელიც ორიენტირებული იქნება დამკვეთების მიერ დანერგილ ტექნოლოგიურ სისტემებსა და ინსტრუმენტებზე. ეს ფირმებს დაეხმარებოდა ამის საფუძველზე გარიგებაზე დათანხმების ან უარის თქმისას უკეთესი გადაწყვეტილების მიღებაში, ასევე იმის განსაზღვრაში თუ სად იქნებოდა მეტად საჭირო სასწავლო რესურსების გამოყოფა.

**7** ზოგადად, დაინტერესებულ მხარეებს „საკმარის“ კომპეტენციად მიაჩნიათ ტექნოლოგიის მუშაობის პრონციპის ცოდნა იმ დონეზე, რომ მათ შეძლონ:

- ა) გამოყენებულ სისტემასა და ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შესაბამისი კითხვები დაუსვან სტ სპეციალისტებს და გაიგონ მათი პასუხები;
- ბ) ჰქონდეთ ნდობა იმ პროცესისადმი, რაც მიმდინარეობს სისტემისა და ინსტრუმენტის გამოყენებით; და
- გ) დაასაბუთონ კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენებისა და მიღებული შედეგის გონივრულობა.

ამ თვალსაზრისით, ქვემოთ მოცემული განყოფილება, [ტექნოლოგიების მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება](#), დეტალურად აღწერს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოიხატება ეს პრაქტიკაში. თუმცა, დაინტერესებული მხარეები ასევე აღიარებენ, რომ ტექნოლოგიების სფეროში „საკმარისი“ პროფესიული კომპეტენციის ზღვრების დაწესება ძალიან არაპრაქტიკულია. ეს კი სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული, კერძოდ: ტექნოლოგიების ფართო და დინამური ხასიათი, მათი გამოყენების მრავალფეროვნება, სხვადასხვა ტექნოლოგიებთან მომუშავე პროფესიონალ ბუღალტრთა როლების ფართო სპექტრი და კონტექსტის მიხედვით პროფესიული განსჯის გამოყენების საჭიროება. ასევე აღინიშნა, რომ კომპლექსური ხასიათის ბიზნესგარემოს გამო, კონკრეტული დროისთვის ცოდნის გარკვეული დონის მიღწევას ნაცვლად, უმჯობესია მუდმივად ხდებოდეს მიმდინარე პროცესების გაცნობა და ფართო კონტექსტში ცნობიერების ამაღლება - რასაც ზოგიერთი დაინტერესებული მხარე „უწყვეტი განათლების“ სახელით მოიხსენიებს.

**8** შედეგად, აუცილებელია საწყისი და განგრძობითი პროფესიული განათლების ისე განვითარება, რომ სასწავლო და პროფესიული განათლების პროგრამებში მუდმივად ხდებოდეს, სხვებთან ერთად, საჭირო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საკითხების (ე.ი. საბაზისო კომპიუტერული უნარები, მონაცემთა ანაზილი, ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი და სხვა ასეთი ტიპის ცნებები/უნარები, მაგალითად, განსხვავება სტრუქტურირებულ და არასტრუქტურირებულ მონაცემებს შორის) ინტეგრირება. ამ მხრივ, უკვე მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება ბუღალტრთა პროფესიული ორგანიზაციების მიერ, ისევე, როგორც არაერთ საუნივერსიტეტო კურიკულუმსა და განგრძობითი პროფესიული განათლების პროგრამაში.<sup>6</sup>



### ტექნოლოგიების მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება

**9** სამუშაო ჯგუფის შეხვედრებით, ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საფუძვლიანი უნარების შექმნა პროფესიონალ ბუღალტრებს იმ უზარმაზარი სარგებელის მიღებისა და შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას მისცემს, რასაც ტექნოლოგიები გვთავაზობს. ასევე, ეს მეტ შესაძლებლობას მისცემს პროფესიონალ ბუღალტრებს დაიკავონ ადგილი ტექნოლოგიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების მაგიდასთან, სადაც შეძლებენ სათანადო კითხვების დასმით, ამა თუ იმ გადაწყვეტილების პოტენციური ეთიკური ზემოქმედების/გავლენების ახსნითა და შესაბამისი ტექნოლოგიური გადაწყვეტის შერჩევაში დახმარების გზით წინა პლანზე წამოსწიონ ამა თუ იმ საკითხის ეთიკური ასპექტები. თუმცა, დაინტერესებული მხარეები მიუთითებენ ფართოდ გავრცელებულ შეხედულებაზე (ეს აღნიშნულია არაერთ დისკუსიაში, მაგალითად, იხილეთ: [Ethical Leadership: კომპეტენციის საჭიროება გიფრულ ეპოქაში](#)), რომლის თანახმადაც სრულიად შესაძლებელია პროფესიონალ ბუღალტრებს ტექნოლოგიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საკმარისი ნდობა არ გამოუცხადონ, იმ მიზეზით, რომ გავრცელებული მოსაზრებით პროფესიონალ ბუღალტრებს სათანადოდ არ აქვთ შესწავლილი ინოვაციური ტექნოლოგიების „ენა“ და საფუძვლები. მაგალითად, დაინტერესებული მხარეები ამ თვალსაზრისით გამოყოფენ შემდეგ საკითხებს:

- პროფესიონალ ბუღალტრებს ხშირად არ აქვთ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება და ცოდნა ხელოვნური ინტელექტის, ბლოკჩეინისა (მათ შორის კრიპტოვალუტების<sup>7</sup>) და მონაცემთა მართვის შესახებ, რომ იცოდნენ რა ტიპის კითხვები დასვან, როგორ გამოავლინონ კონკრეტული შეცდომები და რისკები, დასახონ მათი შემცირების გზები და როგორ შეაფასონ ტრანსფორმაციული ტექნოლოგიების სანდობა. დამატებითი შეფოთების საგანია ის, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვას იმ ფაქტს, რომ ამ ტექნოლოგიების საბოლოო მომხმარებლები არასაკმარისი კომპეტენციის მქონე პროფესიონალი ბუღალტრები შესაძლოა იყვნენ.

- როგორც წესი, პროფესიონალ ბუღალტრებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, რაც უმთავრესია იმ მონაცემების დაცვის საქმეში, რომელიც მათი პასუხისმგებლობის ქვეშ არის და რომელზე დაყრდნობითაც გადაწყვეტილებების მიღება ხდება. რეალურად, ადამიანების დიდმა ნაწილმა (მათ შორის პროფესიონალმა ბუღალტრებმა) არ იცის როგორ დაიცვას თავი და საკუთარი ელექტრონული მოწყობილობები კიბერთავდასხმებისგან.

**10** დაინტერესებულმა მხარეებმა ტექნოლოგიების მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების ის ხუთი ძირითადი მიმართლება გამოკვეთეს, რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ვინაიდან ციფრული ტრანსფორმაცია პროფესიაზე ახდენს გავლენას. კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიონალ ბუღალტრებს დაეხმარება, ერთი მხრივ, თავიანთი პროფესიული მოვალეობების უკეთ შესრულებაში (პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპების თვალსაზრისით), მეორე მხრივ, კი იმაში, რომ მათ დაიკავონ ადგილი გადაწყვეტილების მიღების მაგიდასთან, სადაც შექმნენ ორგანიზაციისა და ფირმაში ტექნოლოგიის შექმნის, დანერგვისა და გამოყენების რისკებისა და სარგებლის შესახებ სტრატეგიული და ცოდნაზე დაფუძნებული რჩევები გასცენ. გასაკვირი არ არის, რომ მონაცემების მოცულობისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად სწორედ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლებას ახსენებენ. მაგალითად, ის, რომ პროფესიონალ ბუღალტრებს უნდა შეეძლოთ იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ხარისხიანი და მიზნისთვის შესაფერისია ესა თუ ის მონაცემი, რომელთა გამოყენებაც ხელოვნური ინტელექტის, მონაცემთა ანალიზისა თუ პროცესების რობოტიზებული ავტომატიზაციის პროცესში ხდება. (იხილეთ: [Focus on Data Governance](#)).

**11** დაინტერესებულმა მხარეებმა ასევე მიუთითეს კონკრეტულ უნარებზე, რომლებიც, მათი აზრით, მნიშვნელოვანია თითოეული ამ ხუთი მიმართულებისთვის. ისინი ძირითადად მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების სფეროებს მოიცავს:

კვალიფიკაციის ამაღლების სფერო	კონკრეტული უნარები, რომლებიც დაინტერესებულ მხარეებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ
მონაცემებთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები	<ul style="list-style-type: none"> <li>• როგორ ხდება მონაცემთა (კრიტიკული და არა-კრიტიკული) კლასიფიცირება</li> <li>• რა არის კონფიდენციალური და „რამდენად“ კონფიდენციალურია იგი</li> <li>• მონაცემთა ხარისხის განსაზღვრა</li> <li>• მონაცემთა შეგროვების, გამოყენების, შენახვისა და განადგურების შედეგები (გამიზნული და დაუგეგმავი) მონაცემთა სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე</li> <li>• მონაცემთა ანალიზი (მათ შორის, პროგნოზირებისა და სტრატეგიის შემუშავებისთვის)</li> <li>• მონაცემთა ვიზუალიზაცია</li> <li>• მონაცემთა წყებების აუდიტი</li> <li>• მონაცემების სისრულის უზრუნველყოფა</li> </ul>
ტექნოლოგიური შესაძლებლობები	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონტროლის გარემოს ეფექტურობა</li> <li>• რისკების გამოვლენა</li> <li>• როგორ გამოიყენება ტექნოლოგიები შედეგების მანიპულაციისთვის (თაღლითობა)</li> </ul>
კიბერუსაფრთხოება	<ul style="list-style-type: none"> <li>• კიბერთავდასხმის მეთოდები</li> <li>• კიბერრეგულაციები</li> <li>• კონფიდენციალურობის შენარჩუნება, მათ შორის, იმ შემთხვევაში თუ მოხდა კონფიდენციალურობის წესების დარღვევა</li> </ul>
საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლები	<ul style="list-style-type: none"> <li>• საწყისი კოდის გაგება</li> <li>• პროგრამირების საბაზისო დონე</li> </ul>
ხელოვნური ინტელექტი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტელექტუალური აგენტების შეფასება</li> </ul>

**12** დაინტერესებული მხარეები აღნიშნავენ, რომ პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა გააცნობიერონ თუ რამდენად დიდი ადგილი უჭირავს ტექნოლოგიებს მათ პროფესიულ საქმიანობაში და ამ მიმართულებით შესაბამისი კომპეტენციის მიღებაზე იზრუნონ. გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ ტექნოლოგიებში გათვითცნობიერებული პროფესიონალი ბუღალტრები მესამე მხარის როლის შესრულებასაც შეძლებენ და დაადასტურებენ მუშაობს თუ არა ტექნოლოგია ისე, როგორც ეს გამიზნული იყო. ასეთი კომპეტენციის მქონე პროფესიონალ ბუღალტრებს ბიზნესპროცესების კონტროლისა და რისკების გამოვლენის მიმართულებით თავიანთი უნარ-ჩვევები და ეთიკური პრინციპები შეუძლიათ ტექნოლოგიების დანერგვის კონტექსტში თავისუფლად გამოიყენონ.

**13** და ბოლოს, დაინტერესებული მხარეების დაკვირვებით, ფირმებსა და ორგანიზაციებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის გუნდებში ახლა უკვე ისეთი პირების დაქირავება ურჩევნიათ, რომლებიც მხოლოდ აღრიცხვისა და აუდიტის წინარე ცოდნის ჩარჩოში კი არ არიან მოქცეულნი, არამედ უფრო ფართო და განსხვავებულ, დამატებით უნარ-ჩვევებსაც ფლობენ. როგორც წესი, მოთხოვნი უნარები მოიცავს ტრანსფორმაციულ ტექნოლოგიებს, მონაცემთა მართვასა და ანალიზს და კიბერუსაფრთხოებას.<sup>8</sup> ეს დიდწილად ზემოთ მოცემულ კვალიფიკაციის ამადლების სფეროებს ემთხვევა, რაც დამატებით ამ მიმართულებით ხარვეზების არსებობას და ამ სფეროებში კომპეტენციის ფლობის აუცილებლობას უსვამს ხაზს. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა იურისდიქციებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საწყისი პროფესიული განათლების მიმართულებით ცვლილებების განხორციელება შედარებით სწრაფადაა (დაახლოებით 12-24 თვეში) შესაძლებელი, უკვე პროფესიონალი ბუღალტრების კვალიფიკაციის ამადლების პროცესი განგრძობითი პროფესიული განათლების მეშვეობით ბევრად უფრო რთული და შრომატევადია (მიუხედავად იმისა, რომ განგრძობითი პროფესიული განათლების შედეგად ახალი კურსების შეთავაზება შესაძლოა უფრო სწრაფადაც მოხდეს, ვიდრე ეს საწყისი პროფესიული განათლების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი).

*ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული ძირითადი უნარების გამოყენება და მათი ინტეგრირება პროფესიულ უნარებთან, ღირებულებებთან, ეთიკასა და დამოკიდებულებებთან*

**14** დაინტერესებული მხარეების ხედვით ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული ის ძირითადი უნარები, რაც ამჟამად პროფესიონალ ბუღალტრებს აქვთ, განსაკუთრებით ღირებული იქნება იმ შემთხვევაში თუ მოხდება უახლესი და ტრანსფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით მათი სათანადო გამოყენება. მაგალითად, პროფესიონალი ბუღალტრები ფლობენ ბიზნესთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ანალიტიკურ ინფორმაციას, ისინი რეგულარულად არიან ჩართულნი საქმიანობის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში, ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციასა და შიდა კონტროლის პრინციპების დადგენაში. ესენი კი სწორედ ის მნიშვნელოვანი ასპექტებია, რომელთა გამოყენების საჭიროება დგება, მაგალითად, ახალ ტექნოლოგიაში ინვესტირების შესაძლებლობის განხილვისას, შესაბამისი რისკების გამოვლენის დროს და ეფექტური პროცესებისა და კონტროლის საშუალებების დანერგვისა და დოკუმენტირებისას. კერძოდ, დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ ტრადიციულად პროფესიონალი ბუღალტრები (მაგალითად, მთავარი ფინანსური დირექტორები და მათი გუნდები, რომლებიც მუშაობენ ფინანსური, ბუღალტრული აღრიცხვის, დაგეგმვისა და ანალიზის მიმართულებით) საქმიანობის ან ფინანსური კრიზისის დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, კერძოდ ისინი კრიზისის დროს გზის გაკვლევასა და ბიზნესის ეკოსისტემის წგრევისა და შოკის შემსუბუქებაში ეხმარებიან ორგანიზაციებს. მიიჩნევა, რომ სწორედ პროფესიონალ ბუღალტრებს, მათი პროფესიული მომზადებისა და პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით ფართო სპექტრის უნარებიდან გამომდინარე, შეუძლიათ საუკეთესოდ გაუმკლავდნენ ამგვარ სირთულეებს.<sup>9</sup>



**15** დღევანდელ ციფრულ ეპოქაში ისედაც რთულ, კომპლექსულ გარემოებებს<sup>10</sup> ემატება მოწინავე ტექნოლოგიების მუდმივად შერწყმა, მონაცემთა შექმნის, ხელმისაწვდომობისა და ურთიერთკავშირების ზრდა, უახლესი კანონები, რეგულაციები და საზოგადოების მოლოდინები ტრანზაქციების, ფინანსების, ბიზნესმოდელების, საგადასახადო დაგეგმვისა და მდგრადობის ირგვლივ. პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა გააცნობიერონ ციფრული ტრანსფორმაციების მნიშვნელოვნება და ის თუ რამდენად ფართო ხასიათის შედეგები/გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამას მათ პროფესიულ საქმიანობასა და ეთიკის კოდექსის პრინციპებთან შესაბამისობაზე. პროფესიონალმა ბუღალტრებმა კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ამადლებით ყოველთვის უნდა იზრუნონ თავიანთი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რათა მუდმივად იყვნენ შესაბამისობაში პროფესიულ მოთხოვნებსა და საჭიროებებთან.

**16** კერძოდ, დაინტერესებული მხარეები ხაზს უსვამენ იმას, რომ პროფესიონალი ბუღალტრებისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია სწორი აზროვნებისა და შეხედულებების ქონა, ისევე როგორც პროფესიული უნარების, ღირებულებების, ეთიკისა და დამოკიდებულებების სათანადო გამოყენება, რათა მათ კვლავ შეძლონ სანდო მრჩეველების როლის შესრულება. სწორედ ეს განასხვავებს ადამიანსა და მანქანას ერთმანეთისგან და ეხმარება სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ გამოცემაში<sup>12</sup> დოკუმენტირებულ თემას. სამუშაო ჯგუფი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი პროფესიონალი ბუღალტერი ამჯობინებს ტექნოლოგიებს თავი აარიდოს. თუმცა, უადრესად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ტექნოლოგიების ისე გამოყენება, რომ ამით ორიენტირებულნი იყვნენ არა ადამიანური მსჯელობისა და განსჯის ჩანაცვლებაზე, არამედ მის გაუმჯობესებასა და დახვეწაზე.

**17** მაგალითად, ზოგიერთი დაინტერესებული მხარის დაკვირვებით, კომპანიები ზოგჯერ მხოლოდ მონაცემებზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს და სრულიად უგულვებელყოფენ არსებული ფაქტებისა და გარემოებების განხილვისას პროფესიული განსჯის თვალსაზრისით ადამიანის წვლილის მნიშვნელობას. თუმცა, შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები მოჰყვეს ისეთ ავტომატიზებულ პროცესებში (და მასზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისას) ადამიანის ჩართულობაზე უარის თქმას, როგორებიცაა, მაგალითად, მონაცემთა გონივრულობის ტესტირება ან მონაცემთა სიზუსტის, სისრულის, თანმიმდევრულობისა და ტენდენციურობის საკითხების შემოწმებისას სიფრთხილის ელემენტის შენარჩუნება.

**18** დაინტერესებული მხარეები გამოყოფენ იმ არა-ტექნიკურ უნარებს, რომლებიც ერთმანეთისგან განასხვავებს პროფესიონალ ბუღალტრებსა და ავტომატური მართვისა და ხელოვნური ინტელექტის მქონე სისტემებს. კერძოდ, ესენია:

ა) პროფესიული უნარები: სასურველია პროფესიონალმა ბუღალტრებმა, გარდა მათი საქმიანი როლისა, საკითხებს უფრო ფართო პერსპექტივიდან შეხედონ, იფიქრონ საწარმოს გადმოსახედიდან და იზრუნონ პროფესიულ განვითარებაზე. მაშინ, როდესაც შესაძლებელია რუტინული და მექანიკური ამოცანების ავტომატიზაცია, პროფესიული უნარები უკეთ უნდა იქნეს გამოყენებული გუნდების ეფექტური ზედამხედველობის, სტრატეგიის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს პროფესიული უნარები მოიცავს:

- კომუნიკაციის უნარებს, ძლიერი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული გუნდის შესაქმნელად.
- სამეწარმეო (ორგანიზაციულ) უნარებს, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციებს, შემოქმედებითობას და ორიგინალურ აზროვნებას.
- ემოციურ ინტელექტს, რაც მოიცავს, მაგალითად, მოლაპარაკების, გავლენის მოხდენის, დარწმუნებისა და კონფლიქტების მართვის ტექნიკას.

ტექნიკური უნარები ის უნარებია, რაც ყველა პროფესიონალ ბუღალტრს უნდა ჰქონდეს. როგორც ზემოთ აღინიშნა ([ტექნოლოგიების მიმართულებით კვალიფიკაციის ამალღების საჭიროება](#)), ტექნიკური უნარების ფლობა აუცილებელია, რათა მათ გადაწყვეტილების მიღების მაგიდასთან ადგილის დაკავება შეძლონ. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში<sup>14</sup> სწორედ პროფესიული უნარებია საჭირო და მნიშვნელოვანი.

ბ) პროფესიული განსჯა და მაძიებელი/ცნობისმოყვარე გონება: პროფესიონალი ბუღალტრების პროფესიულ ღირებულებას მათი მომზადება, გამოცდილება და ახალი ცოდნის შეძენისადმი სწრაფვა განამტკიცებს. მიუხედავად იმ რისკისა, რომ მომავალში ავტომატიზებულმა სისტემებმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანის ადგილი შეიძლება დაიკავოს, საქმიანი და პროფესიული განსჯის ძირითადი უნარების გამოყენების თვალსაზრისით პროფესიონალი ბუღალტრები მაინც შეუცვლელნი დარჩებიან. ამავე დროს, პროფესიონალ ბუღალტრებს შეუძლიათ ტექნოლოგიების გადამეტებული გავლენისა და მათზე გადაჭარბებული დამოკიდებულების პრევენცია მოახდინონ. მათ ასევე შეუძლიათ გააცნობიერონ და შეასუსტონ ტენდენციურობის შედეგები.

დაინტერესებული მხარეები ასევე აღნიშნავენ, რომ განსჯის ეს ძირითადი უნარები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელოვნური ინტელექტის სისტემების შერჩევის, გამოყენებისა და მათ მიმართ ნდობის გამოცხადების პროცესში. მაგალითად, ასეთ ფუნქციებზე პასუხისმგებელ პროფესიონალ ბუღალტრებს შეუძლიათ გამოიყენონ პროფესიული განსჯა და დასვან შესაბამისი კითხვები იმის დასადგენად, შესაბამეა თუ არა ხელოვნური ინტელექტის ესა თუ ის სისტემა განსაზღვრულ მიზანს/დანიშნულებას, ისე, რომ მასში შეყვანილი მონაცემები მიკერძოებულობისა და ტენდენციურობისაგან თავისუფალი იყოს (ან, სულ მცირე, შესაძლებელი იყოს არსებული ტენდენციურობის აღმოჩენა იმგვარად, რომ შედეგების შეფასებისას ის მხედველობაში იქნეს მიღებული), მიღებული შედეგები/ინფორმაცია კი - გონივრული.

გ) მსოფლმხედველობა და დამოკიდებულებები: დღევანდელ კომპლექსურ ციფრულ სამყაროში - სადაც სხვა ფაქტორებთან ერთად, მუდმივად იცვლება ტექნოლოგიები, კანონები და რეგულაციები, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე და მისაღები საუკეთესო პრაქტიკა და საზოგადოების მოლოდინები - იმისათვის, რომ დროს არ ჩამორჩე, მეტად მნიშვნელოვანია სწორი მსოფლმხედველობისა და დამოკიდებულებების შენარჩუნება. დაინტერესებული მხარეების შეხედულებით, ამ კონტექსტში სწორი მსოფლმხედველობა ნიშნავს უწყვეტი განათლების მიღებისთვის პროაქტიურად ეძებდეს სწავლის ახალ შესაძლებლობებს - ზოგიერთი ამას „ზრდის მსოფლმხედველობის“ სახელით მოიხსენიებს. გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ სამყარო, როგორც წესი, არ წარმოადგენს „სწორისა“ და „არასწორის“ ბინარულ ოპოზიციას, არამედ იგი უფრო მეტად დაფუძნებულია გავრკვევლობებისა და სირთლეების მართვაზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორ მსოფლმხედველობას (მაგალითად, დიდ გუნდში ინდივიდის მიერ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღების უნარი) აქვს. ეს ზუსტად შეესაბამება პროფესიონალი ბუღალტრების მიერ საკუთარ თავზე პროფესიული პასუხისმგებლობის აღებას, რათა იმოქმედონ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

### დეტალური და კომპლექსური ანალიზის/სათანადო გულისხმიერების საჭიროება

**19** როგორც ეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ გამოცემაში<sup>15</sup> აღნიშნული, კომპლექსური ანალიზის ჩატარება და სათანადო გულისხმიერება საჭირო, რათა ტრანსფორმაციული ტექნოლოგიების არსებობის პირობებში კომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღება და დამკვეთებისა და დამსაქმებლებისათვის სათანადო მომსახურების გაწევა მოხდეს. ტრანსფორმაციული ტექნოლოგიები ისეთ გარემოებებს აჩენს, რომლებიც ხშირად ხასიათდება გაზრდილი კომპლექსურობით, დინამიურობით, ტენდენციურობით, ყალბი ინფორმაციისა და დეზინფორმაციის გავრცელებით და უსაფრთხოების მიმართ (შიდა თუ გარე) საფრთხეებით. თუმცა, მნიშვნელოვანია ზოგიერთი პრაქტიკური შეზღუდვის არსებობის აღიარება, მათ შორისაა ტექნოლოგიების გამოყენებისას ადამიანის ემოციურად გადატვირთვა, მუქარის შესაძლებლობა, ან თუნდაც ტექნოლოგიური და მარეგულირებელი ცვლილებების ტემპი. პროფესიონალმა ბუღალტრებმა ასევე უნდა გააცნობიერონ, რომ შეუძლებელია მათ ყველა შესაძლო შესაბამის ინფორმაციაზე რეალურ დროში ჰქონდეთ წვდომა, მაშინ როდესაც გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული და ის მონაცემები, რომელზეც მათ მოცემულ მომენტში აქვთ წვდომა, შესაძლოა საუკეთესო და ყველაზე შესაფერისი იყოს იმ დროს არსებულ მონაცემებს შორის. შესაბამისად, დამატებითი ინფორმაციისა და მონაცემების ხელმისაწვდომობისთანავე უნდა ხდებოდეს მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების მონიტორინგი და ქმედებების სათანადოდ ადაპტირება. სწორედ ეს არის კომპლექსური გარემოებების მართვის მთავარი არსი.



**20** დაინტერესებულმა მხარეებმა საზგასმით აღნიშნეს, რომ სათანადო გულისხმიერების მაღალი დონეა საჭირო იმის უზრუნველსაყოფად, რომ:

- გამოყენებული ტექნოლოგია შეესაბამებოდეს მიზანს. ტექნოლოგიური პროდუქტების მიმწოდებლებს დაევალებათ შემდეგი - დაამტკიცონ, რომ ესა თუ ის ტექნოლოგია გააკეთებს იმას, რაც წინასწარ არის გამიზნული; გახადონ ხელოვნური ინტელექტის სისტემები იმგვარად გასაგები/ინტერპრეტირებადი, რომ სხვებს, მათ შორის პროფესიონალ ბუღალტრებს, შეეძლოთ სისტემის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაგება და მისი შედეგების გონივრულობის შეფასება; და უზრუნველყონ მონაცემთა მართვის შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა, რაც ნდობის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ესენია ის ძირითადი სფეროები, რომელთა შესახებ, ტექნოლოგიის შერჩევის პროცესში, პროფესიონალმა ბუღალტრებმა დეტალური პასუხები უნდა მიიღონ ტექნოლოგიური პროდუქტების მიმწოდებლებისგან.
- შექმნილი, შეგროვებული ან მოპოვებული და გამოყენებული მონაცემები იყოს უსაფრთხო და მოხდეს მათი სათანადოდ დამუშავება. მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა გააცნობიერონ თუ რამდენად მნიშვნელოვანია საფრთხეების ფონზე კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით სიფხიზლის შენარჩუნება, რათა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ არ მოხდება პროცესებისა და სისტემებში არსებული მონაცემების ხელყოფა. იხილეთ დისკუსია თემაზე: [Focus on Data Governance](#).



## მნიშვნელობა

- 1 სამომავლო პროექტებისა და ინიციატივების პრიორიტეტულობის განსაზღვრისას, IESBA, სამუშაო ჯგუფის იმ რეკომენდაციებთან ერთად, რომლებიც III განყოფილებაში დეტალურადაა აღწერილი, ასევე გაითვალისწინებს და შესაბამისობაში მოიყვანს სხვა მოსაზრებებსაც, როგორებიცაა, მაგალითად, 2022 წელს ჩატარებული სტრატეგიული კვლევის შედეგად მიღებული პასუხები (2022 Strategy Survey), ახლანდელ დასრულებული საინიციატივო პროექტის ფარგლებში ჩატარებული შედარებითი ანალიზის შედეგები, თავისი ადრინდელი დაპირებები და ხელმისაწვდომი რესურსები.
- 2 “Complexity and the professional accountant: Practical guidance for ethical decision-making.” CPA Canada, ICAS, IFAC and IESBA, ივნისი 2021, <https://www.cpacanada.ca/en/foresight-initiative/trust-and-ethics/complexity-guidance-ethical-decision-making>
- 3 Maughan, Tim. “The Modern World Has Finally Become Too Complex for Any of Us to Understand.” OneZero, 30 November 2020, <https://onezero.medium.com/the-modern-world-has-finally-become-too-complex-for-any-of-us-to-understand-1a0b46fbc292>
- 4 იხილეთ, მაგალითად, “Mindset and enabling skills of professional accountants – a competence paradigm shift.” CPA Canada, ICAS, IFAC and IESBA, აპრილი 2022, <https://www.cpacanada.ca/en/foresight-initiative/trust-and-ethics/mindsets-professional-accountants>
- 5 დაინტერესებული მხარეების დაკვირვებით, ზოგიერთ შემთხვევაში ორგანიზაციები მთავარი საინფორმაციო დირექტორისა და მთავარი ტექნოლოგიური დირექტორის როლებს მთავარი ფინანსური დირექტორის პოზიციაში აერთიანებენ, გამომდინარე იქიდან, რომ ბუღალტრული ადრინდელი და ფინანსური მიმართულებით საწარმოს რესურსების დაგეგმვის სისტემას შიდა კონტროლის პროცესებით უწყვენ „ზედამხედველობას“. ეს შესაძლოა იყოს ყველაზე დიდი საინფორმაციო ტექნოლოგიური პაკეტი, რომელსაც კომპანია ფლობს.
- 6 ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სერტიფიცირებულ ბუღალტრთა (CA ANZ) საკვალიფიკაციო პროგრამა ამჟამად მოიცავს ტექნოლოგიებსა და ეთიკასთან დაკავშირებულ მოდულებს, მათ შორისაა ეთიკა და ბიზნესი, რისკი და ტექნოლოგიები, მონაცემთა ანალიზი და მოსაზრებები. “CPA Program Overview.” CA ANZ, <https://www.charteredaccountantsanz.com/become-a-member/apply-for-the-ca-program/ca-program-overview>, NASBA და AICBA-ის მიერ შემუშავებულია CPA Evolution Model Curriculum, რომლის მიზანია დაეხმაროს იმ სასწავლო დაწესებულებებს, რომელთაც სურთ თავიანთი სტუდენტები CPA-ის (სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტრის) პროფესიისთვის მოამზადონ. იგი ითვალისწინებს ახლად ლიცენზირებული სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტრების ისეთ საჭიროებებს, როგორებიცაა სრულყოფილი უნარ-ჩვევები, სათანადო კომპეტენცია და ცოდნა უახლესი ტექნოლოგიების მიმართულებით. “CPA Evolution Model Curriculum.” NASBA, [https://nasba.org/wp-content/uploads/2021/06/Model-curriculum\\_web\\_6.11.21.pdf](https://nasba.org/wp-content/uploads/2021/06/Model-curriculum_web_6.11.21.pdf), CPA Canada’s Competency Map 2.0 მნიშვნელოვნად გადააზრებს იმ უნარებსა და კომპეტენციას, რაც მომავალ ბუღალტრებს უნდა ჰქონდეთ ახალი შესაძლებლობების, ავტომატიზაციის სისტემების გავლენებისა და გაზრდილი ურთიერთკავშირების კონტექსტში. “Competency Map 2.0: Learn today. Lead tomorrow.” CPA Canada, <https://www.cpacanada.ca/en/become-a-cpa/why-become-a-cpa/the-cpa-certification-program/the-cpa-competency-map/competency-map-2-0>
- 7 იხილეთ, მაგალითად, Sharma, Sonia. “Advisers must deepen understanding of cryptoassets as client demand increases, industry figures say.” AccountancyAge, 10 აგვისტო 2022, <https://www.accountancyage.com/2022/08/10/advisers-must-deepen-understanding-of-cryptoassets-as-client-demand-increases-industry-figures-say/> და Choo, Lindsey. “You might be evading crypto taxes and not even know it.” Protocol, 10 აპრილი 2022, <https://www.protocol.com/fintech/crypto-taxes-staking-mining-airdrops>
- 8 მაგალითად, ზოგიერთი პოსტ-სამუშაო საგანმანათლებლო დაწესებულება ცდილობს უნარ-ჩვევების მიმართულებით არსებული დანაკლისი ახალი სამაგისტრო და შემდგომი დონის პროგრამების საშუალებით შეავსოს. ასეთია, მაგალითად, იორკის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა ფინანსური ანგარიშვალდებულებების მიმართულებით (York University’s Master of Financial Accountability). აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს „მნიშვნელოვანი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ათვისებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ანგარიშვალდებულება, რწმუნება, კლიმატის ცვლილებები, კომპენსაცია, კიბერუსაფრთხოება, ეთიკა, მმართველობა, კანონმდებლობა და რისკის მართვა“. York University, <https://mfac.gradstudies.yorku.ca/about/>. ეს საკითხები მნიშვნელოვანია, რამდენადაც ბუღალტრთა პროფესიული ორგანიზაციები თავიანთი კომპეტენციის ჩარჩოს საწყისი და განგრძობითი პროფესიული განათლების მიმართულებით აფართოებენ.
- 9 მაგალითად, როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტისა და დიდი მონაცემების ანალიზის საშუალებით გაიზარდოს პროფესიონალი ბუღალტრების სამუშაო ისეთი კომპლექსური საკითხების გადაჭრისას, როგორიცაა, მაგალითად, კრიზისის დროს მიწოდების ჯაჭვის შეფერხება. იხილეთ: Heaven, Will Douglas. “How AI digital twins help weather the world’s supply chain nightmare.” MIT Technology Review, 26 ოქტომბერი 2021, <https://www.technologyreview.com/2021/10/26/1038643/ai-reinforcement-learning-digital-twins-can-solve-supply-chain-shortages-and-save-christmas/>
- 10 <https://www.cpacanada.ca/en/foresight-initiative/trust-and-ethics/complexity-guidance-ethical-decision-making>
- 11 იხილეთ, მაგალითად, “International Education Standard 3: Professional Skills.” IFAC, <https://education.ifac.org/part/ies-3/>; and “International Education Standard 4: Professional Values, Ethics and Attitudes.” IFAC, <https://education.ifac.org/part/ies-4/>
- 12 <https://www.cpacanada.ca/en/foresight-initiative/trust-and-ethics/mindsets-professional-accountants>
- 13 არსებობს ზედმეტი დამოკიდებულებისა და მიკერძობის რისკები, რომელიც ადამიანის ზედამხედველობის პროცესში შეიძლება შეიქმნას. ეს სისტემების დაპროექტებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული. იხილეთ, მაგალითად: Green, Ben, and Amba Kak. “The False Comfort of Human Oversight as an Antidote to AI Harm.” Slate, 15 ივნისი 2021, <https://slate.com/technology/2021/06/human-oversight-artificial-intelligence-laws.html>
- 14 იხილეთ, მაგალითად, Chabus, Ryan. “Top soft skills for accounting Professionals.” AICPA Journal of Accountancy, 7 ივნისი 2021, <https://www.journalofaccountancy.com/newsletters/2021/jun/top-soft-skills-accounting-professionals.html>. მასში აღნიშნულია, რომ ადამიანური რესურსების მართვის საზოგადოების მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, დამსაქმებელთა 97% აცხადებს, რომ საკომუნიკაციო უნარები (soft skills) ზუსტად ისევე (ან უფრო მეტადაც) მნიშვნელოვანია, როგორც ტექნიკური (hard skills).
- 15 <https://www.cpacanada.ca/en/foresight-initiative/trust-and-ethics/complexity-guidance-ethical-decision-making>
- 16 დამატებით იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება გაითვალისწინოს პროფესიონალმა ბუღალტრმა ტექნოლოგიის შერჩევას ან რა კითხვები უნდა დაუსვას ტექნოლოგიური პროდუქტების მიმწოდებლებს, იხილეთ: Silverglate, Paul H, et al. “Beyond good intentions.” Deloitte, 27 ოქტომბერი 2021, <https://www2.deloitte.com/us/en/insights/industry/technology/ethical-dilemmas-in-technology.html> “Seven Legal Questions for Data Scientists.” O’Reilly, 19 იანვარი 2021, <https://www.oreilly.com/radar/seven-legal-questions-for-data-scientists/>



## IESBA-ს შესახებ

ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IESBA) არის სტანდარტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანო. IESBA ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს, ადგენს რა ეთიკის სტანდარტებს, მათ შორის მოთხოვნებს აუდიტორის დამოუკიდებლობისთვის, რაც მიზნად ისახავს ყველა პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკური ქცევისა და საქმიანობის მაღალ ნიშნულზე აყვანას ჯანსაღი, ძლიერი, მსოფლიო მასშტაბით მოქმედი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) მეშვეობით.

IESBA-ს მიაჩნია, რომ მაღალი ხარისხის ეთიკის სტანდარტების ერთიანი ნაკრები აუმჯობესებს პროფესიონალი ბუღალტრების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხსა და ერთგვაროვნებას და ამგვარად ხელს უწყობს ბუღალტრის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას. IESBA სტანდარტებს ადგენს საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, IESBA-ს კონსულტანტ-მრჩეველთა ჯგუფის (Consultative Advisory Group (CAG)) მონაწილეობითა და საზოგადოების ინტერესების საზედამხედველო საბჭოს (Public Interest Oversight Board (PIOB)) ზედამხედველობით.

## მნიშვნელოვანი კონტაქტები

**ბრაიან ფრიდრიხი**, IESBA-ს წევრი და ტექნოლოგიური მიმართულებით სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ([brian@friedrich.ca](mailto:brian@friedrich.ca))

**კენ სიონგი**, პროგრამის უფროსი დირექტორი, IESBA ([kensiong@ethicsboard.org](mailto:kensiong@ethicsboard.org))

**კამ ლეუნგი**, დირექტორი, IESBA ([kamleung@ethicsboard.org](mailto:kamleung@ethicsboard.org))



[www.ethicsboard.org](http://www.ethicsboard.org)



@ethics\_board



company/iesba

გამოქვეყნებულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ, 529 Fifth Avenue, ნიუ-იორკი, NY 10017

Copyright © ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC), 2022 წლის ნოემბრის გამოცემა. ყველა უფლება დაცულია. საჭიროა IFAC-ის წერილობითი ნებართვა დოკუმენტის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემის ან სხვა ანალოგიური მიზნით გამოყენებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დოკუმენტი გამოიყენება მხოლოდ ინდივიდუალური, არაკომერციული მიზნებისთვის. დაგვიკავშირდით: [permissions@ifac.org](mailto:permissions@ifac.org).

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) პუბლიკაცია „ტექნოლოგიების პოტენციური ეთიკური გავლენა პროფესიონალი ბუღალტრების ქცევაზე: კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება“, რომელიც 2022 წლის ნოემბერში ინგლისურ ენაზე გამოსცა International Federation of Accountants (IFAC), ქართულ ენაზე თარგმნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ 2024 წლის იანვარში და გამოიცემა IFAC-ის ნებართვით. IFAC-ის ყველა პუბლიკაციის დამტკიცებულ ტექსტად მიიჩნევა IFAC-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი. IFAC თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, ან ქმედებებზე, რომელიც შეიძლება მოჰყვას ამ დოკუმენტის გამოყენებას.

„ტექნოლოგიების პოტენციური ეთიკური გავლენა პროფესიონალი ბუღალტრების ქცევაზე: კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება“, ინგლისურენოვანი ტექსტი © 2022 წ. IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ტექნოლოგიების პოტენციური ეთიკური გავლენა პროფესიონალი ბუღალტრების ქცევაზე: კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება“, ქართულენოვანი ტექსტი © 2024 წ. IFAC. ყველა უფლება დაცულია.

ორიგინალური ვერსიის სახელწოდება: Potential Ethics Impact on the Behavior of Professional Accountants: Competence and Due Care

წინამდებარე დოკუმენტის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემის, ან სხვა ანალოგიური მიზნით გამოყენებისთვის ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით: [Permissions@ifac.org](mailto:Permissions@ifac.org)

გამოსცა:



თარგმნა:

